რეკომენდაციები ქვემო ქართლის, გურიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონების მუნიციპალიტეტების მერების სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერების მიზნით

დავით ლოსაბერიძე

1. ზოგადი სახის რეკომენდაციები

ქვემო ქართლის, გურიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონების მუნიციპალიტეტების მერთა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების დებულებები ფაქტობრივად ძირითადად აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონით "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" (86[1] მუხლი) განსაზღვრულ მოთხოვნებს იქ, სადაც ეს საბჭოები შექმნილია და რეალურად ან ფორმალურად ფუნქციონირებს.

კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მხრივ თითქმის ყველგან გამონაკლისს წარმოადგენს მრჩეველთა საბჭოების საქმიანობის პროცესი: 86[1] მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო უნდა შეიკრიბოს არანაკლებ 3 თვეში ერთხელ მაინც. სამიზნე მუნიციპალიტეტების პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ მხრივ შესწავლილი მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში კანონის ეს მთხოვნა ვერ სრულდება.

გარდა ამისა ცალკეული მუნიციპალიტეტების დებულებებში და პრაქტიკაში გვხდება ზოგი ტექნიკური დეტალი, რაც არ მოდის შესაბამისობაში საკანონმდებლო ნორმებთან:

- ზოგ მუნიციპალიტეტში საბჭოების შემადგენლობაში ქალები შეადგენენ 30%-ს (და ვერ აღწევენ კანონთ განსაზღვრულ მინიმალურ 1/3-იან ზღვარს, 86[1] მუხლის მე-2 პუნქტი);
- ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში, დებულების თანახმად, საბჭო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტიდან გამოითხოვოს საჭირო ინფორმაცია (მაშინ, როცა ორგანული კანონის მიხედვით, მერი ვალდებულია თავად წარუდგინოს საბჭოს მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი ყველა დოკუმენტის პროექტი, 86[1] მუხლის მე-3 პუნქტი);
- ზოგ მუნიციპალიტეტში მოქმედებს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების 2015 წელს მიღებული დებულებები. ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად მომდევნო წლებში ზოგი რამ შეიცვალა, ორგანულ კანონთან სრული შესაბამისობისათვის საჭიროა ახალი დებულების მიღება, ან არსებულში ცვლიებების შეტანა (მაგალითად ტერმინ "გამგებლის" ჩანაცვლება ტერმინ "მერით").

რეკომენდაციები შეეხება როგორც სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების დებულებებში შესატან სავალდებულო ან/და სასურველ ცვლილებებს, ისე წარმოადგენს დებულებით განსაზღვრული საქმიანობის პროცესის გაუმჯობესებისათვის განსახორციელებელ შესაბამისი აქტივობების შეთავაზებას.

მუნიციპალიტეტების მიერ მოცემული რეკომენდაციების მიღების შემთხვევაში გათვალიწინებული უნდა იქნეს მათი იმპლემენტაციის სხვადასხვა შესაძლო ვარიანტი:

1. შესაძლებელია მერების მიერ მიღებულ იქნეს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების დებულების ახალი რედაქცია;
2. შეიძლება ცვლილებები განხორციელდეს მოქმედ სამართლებრივ აქტებში - დღეისათვის მოქმედ დებულებებში ცვლილებების შეტანის გზით;
3. შესაძლებელია მუნიციპალიტეტის მერიაში, მოქმედ დებულებებში არსებულ ნორმებზე დაყრდნობით მოხდეს ცალკეულ სფეროში მდგომარეობის გაუმჯობესება.

უნდა გავითვალისწინოთ არსებული სიტუაციაც - 2021 წლის ოქტომბერში ტარდება თვითმმართველობის არჩევნები, რაც გამოიწვევს მერების საქმოაქლაქო მრჩეველთა საბჭოების შემადგენლობის შეცვლას და ამასთან არსებობს თავად დებულებებში ცვლილებების შეტანის დიდი ალბათობა. არჩევნებამდე დარჩენილი პერიოდი გამოყენებული უნდა იყოს დაინტერესებულ მხარეებში შესაძლო ცვლილებების განხილვისათვის.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების ეფექტური საქმიანობის პროცესში უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს საკითხისადმი მუნიციპალიტეტის მერის დამოკიდებულება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი კონკრეტული საბჭოს განვითარების ხედვის ჩამოყალიბებაზე, საბჭოს წევრების შერჩევის მექანიზმების, საბჭოების უფლებამოსილებებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრაზე.

რეალურად მოქმედი რეგულაციების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს:

- რეგულაციები უნდა იყოს მაქსიმალურად მარტივი, რაც საბჭოს რეალურ ამოქმედებას შეუწყობს ხელს;
- საბჭოების მიერ შექმნილი ყველა სახის დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის;
- გარკვეული ეტაპის (2-3 წელი) გავლის შემდეგ უნდა მოხდეს მარეგულირებელი ნორმების გადახედვა.

გარდა აღნიშნულისა, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს:

1. საბჭოს ფორმირების პროცესში ადგილობრივ კონტექსტს (გეოგრაფიული, სოციალური, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონე და ა.შ.) - საბჭოს ფორმატი უნდა განისაზღვროს ლოკალური თავისებურებების გათვალისწინებით;
2. საბჭოს წევრთა დაკომპლექტების პროცესში ისეთი კანდიდატურების შერჩევას, რომლებსაც მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების ცოდნის გარდა, აქვთ საზოგადოებასთან მუშაობის და რიგი პროექტების განხორციელების გამოცდილება;
3. საბჭოსთან საქმიანობის პროცესში ყველა აქტორის (განსაკუთრებით მოტივირებული ახალგაზრდების) მაქსიმალურ ჩართვას;
4. საბჭოების მოქმედ და პოტენციურ წევრთა და მთლიანად საბჭოების, როგორც ინსტიტუტის, უნარების ამაღლებას;
5. საბჭოების და მათი შესაძლებლობების შესახებ საზოგადოებაში ცნობადობის ზრდას;
6. წარმატებით მოქმედ საბჭოებში არსებული პერსპექტიული ინიციატივების მხარდაჭერას.

ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები დახარისხებულია მუნიციპალიტეტებში დღეისათვის მოქმედ დებულებებზე დაყრდნობით. მერიების მხრიდან მზაობის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს 2015 წელს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თხოვნით სსიპ - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის ექსპერტების მიერ მომზადებული დებულების ნიმუში იქ, სადაც ეს საჭიროა, ვინაიდან მუნიციპალიტეტთა უმრავლესობაში დებულებები ამ ნიმუშის საფუძველზეა მომზადებული.

მაგალითისათვის, შესაძლებელია საბჭოების უფლებამოსილებების განსაზღვრისას აღინიშნოს, რომ საბჭოების უფლებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტებისათვის მნიშვნელოვანი პროექტების მომზადება და ინიცირება, დაფინანსების წყაროების განსაზღვრა/დონორებთან ურთიერთობა/პროექტების განხორციელებაზე კონტროლი. მართალია არსებული დებულებები არ გამორიცხავენ ასეთ აქტივობას, მაგრამ დებულებაში მათი ასახვა გააიოლებს დაფინანსების

წყაროების მოძიების პროცესს (განსაკუთრებით დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის პროცესში).

დებულებაში ზემოაღნიშნული ცვლილება, მუნიციპალიტეტების სურვილის შემთხვევაში, შესაძლოა ცალკე მუხლად (ან პუნქტად) შევიდეს საბჭოს უფლებამოსილების ჩამონათვალში:

"*მოამზადოს, განიხილოს და მუნიციპალიტეტის მერს წარუდგინოს წინადადებები:*

- *მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის დოკუმენტების და მათი განხორციელების სამოქმედო გეგმის შესახებ;*
- *ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მიზნით გასატარებელ პროგრამების, პროექტებისა და ღონისძიებათა შესახებ;*
- *ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის განვითარების საკითხებზე;*
- *საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეწყობის, მუნიციპალური საინვესტიციო პოლიტიკის, საინვესტიციო პორტფელის მომზადების და ინვესტიციების მოზიდვის საკითხებზე;*
- *ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშემწყობი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ;*
- *საზოგადოებასთან კომუნიკაციის ფორმების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.*"

გარდა დებულებებში განსახორციელებელი ცვლილებებისა, შემოთავაზებულია რეკომენდაციები საბჭოს საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, რაც არ ითხოვს სამართლებრივი ნორმების დამატებით ცვლილებას. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში აღნიშნული აქტივობები უკვე ხორციელდება, თუმცა შესწავლილ მუნიციპალიტეტთა უმრავლესობაში სასურველია, რომ ყურადღება მიექცეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- საბჭოსთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (მ.შ. საბჭოს ეგიდით მომზადებული დოკუმენტაციის) განთავსება მუნიციპალურ ვებ-გვერდებზე;
- საბჭოს შემადგენლობის შესახებ საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნება, სადაც მითითებული იქნება არა მხოლოდ წევრთა გვარი და სახელი, არამედ თუ რომელ სექტორს ან საზოგადოებრივ ჯგუფს წარმოადგენენ ისინი. ასევე მითებული უნდა იყოს მათი საკონტაქტო მონაცემებიც.

უფრო ზოგადად, მრჩეველთა საბჭოების საქმიანობის პროცესის გაუმჯობესების მიზნით სასურველია:

- დამკვიდრდეს პრაქტიკა, როდესაც ხდება მერის მიერ საბჭოს ინფორმირება მიღებული გადაწყვეტილებების მიზეზების შესახებ - კარგი იქნება, საბჭოს წევრებმა გაიგონ მათი იდეის/პროექტის განხორციელების ან განუხორციელებლობის მიზეზები;
- საბჭოს წევრების უნარების ზრდის მიზნით რიგი ღონისძიებების განხორციელება, რომელიც შესაბამისი უნარებისა და ინფორმაციის მიწოდებით (ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები) უზრუნველყოფს საბჭოს მოქმედი და პოტენციური წევრების კვალიფიკაციის ამაღლებას (როგორც ცალკეული, დამოუკიდებლი აქტივობების, ისე დონორი ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი პროექტების ფარგლებში);
- დონორმა ორგანიზაციებმა წაახალისონ რეალურად მოქმედი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების ცალკეული აქტივობები - მაგალითად მხარი დაუჭირონ საბჭოს შიდა და გარე კომუნიკაციის მექანიზმების გაძლიერებას. იმ პირობებში, როცა მერიას არ აქვს ფინანსები გამოყოფილი საბჭოს გაძლიერებისათვის, გარე მხარდაჭერა საბჭოს ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, საწყის ეტაპზე მაინც;

- საბჭოების საქმიანობა დონორთა მიერ მხარდაჭერილი უნდა იყოს შედარებით ხანგრძლივი პერიოდის (და არა ერთჯერადი აქტივობების) მანძილზე, რათა გაიზარდოს პროგრამების მდგრადობის ალბათობა;
- დონორთა მიერ ხელი შეეწყოს ცალკეულ მუნიციპალიტეტებში არსებული მრჩეველთა საბჭოების საქმიანობის წარმატებული კეისების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სხვა მუნიციპალიტეტებში მოქმედი საბჭოებისათვის.

2. რეკომენდაციები ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების მიხედვით

ქვემო ქართლის სამოქალაქო მრჩევეთა საბჭოების შეფასება განხორციელდა წარმოდგენილი კვლევის პირველ ეტაპზე. გარდა იურიდიული ჩარჩოსა და ინტერვიუების შედეგების ანალიზისა, შედეგები უკვე განხილულ იქნა ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭოების წარმომადგენლებთან.

ამ მიზნით, UNDP FRLD 2 გუნდთან შეთანხმებით, რეგიონის 7 მუნიციპალიტეტიდან შეირჩა 3 (რუსთავის, ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში), სადაც მრჩეველთა საბჭოები შედერებით წარმატებით ფუნქციონირებდნენ და მათ წევრებს გააჩნდათ კონკრეტული შეთავაზებები საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის გზებთან დაკავშირებით. ამ განხილვათა შედეგები ქვემოთაა წარმოდგენილი.

2.1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი

იურიდიული საფუძველი: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 8 ივნისის ბრძანება #773 "ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 21 სექტემბრის #1552 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

<u>შენიშვნები დებულების მუხლებთან დაკავშირებით:</u>

<u>მუხლი 1. ზოგადი დებულებები</u>

- კარგი იქნებოდა, თუ ზოგად დებულებებში მოცემული იქნებოდა საბჭოს დეფინიცია, საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიზნები.

<u>მუხლი 2. საბჭოს შემადგენლობა</u>

- სასურველია დებულებით განისაზღვროს არა მხოლოდ საბჭოებს შემადგენლობა და წევრთა ოდენობა, არამედ საბჭოების ფორმირების წესი (პროცედურა, თუ როგორ ხდება კანდიდატთა შერჩევა);

(შენიშვნა: რუსთავში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრთა არჩევითობამ მნიშვნელოვნად გაზარდა საბჭოს საქმიანობის ეფექტურობა).

- ასევე სასურველია გაიწეროს საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის უფლებამოსილებები და საქმიანობის ფორმები.

<u>მუხლი 3. საბჭოს ფუნქციები</u>

- საბჭოს უფლებამოსილებების ჩამონათვალში უნდა გამოიკვეთოს საბჭოს შესაძლებლობა, მოამზადოს და განახორციელოს მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროგრამები - შესაბამისი პროექტების შექმნის, გარე დაფინანსების წყაროების მოძიების და შედეგების მონიტორინგის გზით.

<u>მუხლი 4. საბჭოს საქმიანობის წესი</u>

- კარგი იქნება დებულებაში აღინიშნოს, რომ საბჭოს წევრები მუშაობენ საზოგადოებრივ საწყისებზე;
- სასურველია გაიწეროს სხდომების (მათ შორის რიგგარეშე) მოწვევის უფლების მქონე სუბიექტები, მოწვევის წესი და გადაწყვეტილების მიღების კონკრეტული პროცედურა.

5. დასკვნითი დებულებები

- სასურველია დებულებაში აღინიშნოს, რომ საბჭოს საქმიანობის მატერიალურ უზრუნველყოფს მერია.

რეკომენდაციები საბჭოს საქმიანობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით:

1. მრჩეველთა საბჭოს წევრთა შესახებ ინფორმაციას დაემატოს, თუ კანონმდებლობით განსაზღვრულ რომელ სექტორს წარმოადგენს თითოეული წევრი;
2. წახალისებული იქნეს საბჭოს მიერ საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში სოციალური ქსელებისა და მოქალაქეებთან უშუალო შეხვედრების მექანიზმები.

სამუშაო შეხვედრა საბჭოს წევრებთან კვლევის შედეგების და რეკომენდაციების გაცნობის მიზნით

2021 წლის 20 იანვრის ონლაინ შეხვედრას ესწრებოდნენ მრჩეველთა საბჭოსა და მერიის წარმომადგენლები. დისკუსიისას მერიის წარმომადგენელმა გამოთქვა მერიის მზაობა, საჭიროების შემთხვევაში სამართლებრივ აქტში ცვლილებები იყო შეტანილი.

შეხვედრაზე საბჭოს და მერიის წარმომადგენლებმა:

- აღნიშნეს, რომ მისაღებია შეთავაზება საბჭოს უფლებამოსილებების ჩამონათვალში (საბჭოს დებულება, მუხლი 3) გამოიკვეთოს საბჭოს შესაძლებლობა, მოამზადოს და განახორციელოს მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროგრამები - შესაბამისი პროექტების შექმნის, გარე დაფინანსების წყაროების მოძიების და შედეგების მონიტორინგის გზით;
- გაიზიარეს მოსაზრება, რომ საბჭოსთან დაკავშირებული ინფორმაცია ფეისბუკის გარდა, უფრო ფართოდ უნდა იყოს ასახული მუნიციპალურ ვებ-გვერდზეც, რაც გაზრდის მის საზოგადოებისათვის წვდომის ხარისხს;
- გამოთქვეს სურვილი, რომ დონორი ორგანიზაციების მიერ წახალისებული იყოს იქნეს საბჭოს მიერ საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში სოციალური ქსელებისა და მოქალაქეებთან უშუალო შეხვედრების მექანიზმები.

2.2. ბოლნისის მუნიციპალიტეტი

იურიდიული საფუძველი: ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის #2433 ბრძანება "ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" 2017 წლის 20 ნოემბრის ბრძანებაში ცვლილების თაობაზე.

შენიშვნები დებულების მუხლებთან დაკავშირებით:

მუხლი 2. საბჭოს საქმიანობის მიზნები და ამოცანები

- კარგი იქნებოდა, თუ მოცემული იქნებოდა საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები;.

მუხლი 4. საბჭოს სტრუქტურა

- სასურველია დებულებით განისაზღვროს არა მხოლოდ საბჭოებს შემადგენლობა და წევრთა ოდენობა, არამედ საბჭოების ფორმირების წესიც;
- დებულებაში უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს წევრები მუშაობენ საზოგადოებრივ საწყისებზე.

5. საბჭოს სხდომა და გადაწყვეტილების მიღების წესი

- სასურველია გაიწეროს სხდომების (მათ შორის რიგგარეშე) მოწვევის უფლების მქონე სხვა სუბიექტებიც (თავმჯდომარის გარდა), მოწვევისა წესი და გადაწყვეტილების მიღების კონკრეტული პროცედურა.

რეკომენდაციები საბჭოს საქმიანობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით:

1. საბჭოს ეგიდით შექმნილი ყველა სახის დოკუმენტაცია (კვლევები, ანგარიშები და ა.შ.) ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული მხარისათვის;
2. წახალისებული და მხარდაჭერილი იქნეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ მომზადებული წინადადებები და ხედვები, რომლებიც შეეხება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების (LED) ინიციატივებს და საზოგადოებასთან ურთიერთობების გაუმჯობესებესების სტრატეგიის შემუშავებას.

სამუშაო შეხვედრა საბჭოს წევრებთან კვლევის შედეგების და რეკომენდაციების გაცნობის მიზნით

2021 წლის 23 იანვრის ონლაინ შეხვედრას ესწრებოდნენ მრჩეველთა საბჭოსა და მუნიციპალური სტრუქტურების წარმომადგენლები.

მონაწილეებმა ითხოვეს რეკომენდაციების წერილობითი ფორმით მიწოდება და გამოთქვეს მერიასთან ერთად მათი განხილვის სურვილი.

2.3. გარდაბნის მუნიციპალიტეტი

ვინაიდან მუნიციპალიტეტში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არ არის შექმნილი და შესაბამისად არ არსებობს დებულება, როგორც სამართლებრივი აქტი, სასურველია მუნიციპალიტეტთან დაიწყოს მუშაობა კონკტრეტული პროექტების იდენტიფიცირებისათვის, რომლის განხორციელებაც შესაძლებელი იქნება სამქოალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმირების გზით.

2.4. დმანისის მუნიციპალიტეტი

იურიდიული საფუძველი: დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 27 დეკემბრის ბრძანება #2726 "დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ".

შენიშვნები დებულების მუხლებთან დაკავშირებით:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- სასურველია დებულებით განისაზღვროს არა მხოლოდ საბჭოებს შემადგენლობა და წევრთა ოდენობა, არამედ საბჭოების ფორმირების წესი;
- ასევე განისაზღვროს საბჭოში წევრობის შეწყვეტის საფუძვლები.

მუხლი 2. საბჭოს საქმიანობის პრინციპები, ძირითადი მიმართულებები და ვალდებულებები

- საბჭოს უფლებამოსილებების ჩამონათვალში უნდა გამოიკვეთოს საბჭოს შესაძლებლობა, მოამზადოს და განახორციელოს მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროგრამები - შესაბამისი პროექტების შექმნის, გარე დაფინანსების წყაროების მოძიების და შედეგების მონიტორინგის გზით.

მუხლი 3. საბჭოს საქმიანობის რეგულაცია

მოქმედი დებულების მე-3 მუხლის 1 პუნქტის თანახმად "საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობს მერი", ამავე დროს, იქვე მე-3 მუხლის 5 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად რიგგარეშე სხდომა მოიწვევა მერის/თავმჯდომარის მოთხოვნით. გაურკვეველია, ეს ხელმძღვანელობა ნიშნავს თუ არა უშუალოდ სხდომების და ყოველდღიური საქმიანობის წარმართვას.

- შესაბამისად დებულებით უნდა განისაზღვროს საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციები, მისი უფლებემოსილებები, არჩევისა და უფლებამოსილების შეწყვეტის წესი.

რეკომენდაციები საბჭოს საქმიანობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით:

1. მრჩეველთა საბჭოს წევრთა შესახებ ინფორმაციას დაემატოს, თუ კანონმდებლობით განსაზღვრულ რომელ სექტორს წარმოადგენს თითოეული წევრი;
2. მომავალში საბჭოს ეგიდით შექმნილი ყველა სახის დოკუმენტაცია (კვლევები, ანგარიშები და ა.შ.) ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

2.5. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

იურიდიული საფუძველი: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 19 მარტის ბრძანება #355 "თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ".

შენიშვნები დებულების მუხლებთან დაკავშირებით:

მუხლი 2. საბჭოს საქმიანობის მიზნები და ამოცანები

- კარგი იქნებოდა, დებულებაში მოხდეს საბჭოს დეფინიცია, ასევე აისახოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიზნები.

მუხლი 4. საბჭოს სტრუქტურა

- დებულებით უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ საბჭოებს შემადგენლობა და წევრთა ოდენობა, არამედ საბჭოების ფორმირების წესი.

მუხლი 5. საბჭოს სხდომა და გადაწყვეტილების მიღების წესი

- სასურველია გაიწეროს სხდომების (მათ შორის რიგგარეშე) მოწვევის უფლების მქონე სუბიექტები, მოწვევისა წესი და გადაწყვეტილების მიღების კონკრეტული პროცედურა.

რეკომენდაციები საბჭოს საქმიანობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით:

1. მრჩეველთა საბჭოს წევრთა შესახებ ინფორმაციას დაემატოს, თუ კანონმდებლობით განსაზღვრულ რომელ სექტორს წარმოადგენს თითოეული წევრი;
2. არა მარტო საბჭოს სხდომების ოქმები, არამედ საბჭოს ეგიდით შექმნილი ყველა სახის დოკუმენტაცია (კვლევები, ანგარიშები და ა.შ.) ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული მხარისათვის;
3. წახალისებული და მხარდაჭერილი იქნეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ ხედვებისა და რეკომენდაციების მომზადება ისეთ

საკითხებზე, რომელიც ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებსა და შესაბამისი პროგრამების სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებით მუშავდება;
4. წახალისებული იქნეს საბჭოს მიერ საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში სოციალური ქსელებისა და მოქალაქეებთან უშუალო შეხვედრების მექანიზმები.

<u>სამუშაო შეხვედრა საბჭოს წევრებთან კვლევის შედეგების და რეკომენდაციების გაცნობის მიზნით</u>

2021 წლის 2 თებერვალს ონლაინ შეხვედრას ესწრებოდნენ მრჩეველთა საბჭოს წევრები.

შეხვედრაზე საბჭოს წევრებმა;

- აღნიშნეს, რომ მისაღებია შეთავაზება საბჭოს დებულებაში (მუხლი 5) გაიწეროს სხდომების (მათ შორის რიგგარეშე) მოწვევის უფლების მქონე სუბიექტები, მოწვევის წესი და გადაწყვეტილების მიღების კონკრეტული პროცედურა;
- დაეთანხმნენ შეთავაზებას, რომ არა მარტო საბჭოს სხდომების ოქმები, არამედ საბჭოს ეგიდით შექმნილი ყველა სახის დოკუმენტაცია (კვლევები, ანგარიშები და ა.შ.) ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ყველა დაინტერესებული მხარისათვის;
- განაცხადეს, რომ რეკომენდაციები სასურველია გათვალისწინებული იყოს 2021 ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ახალი საბჭოს დამტკიცებისას.

საბჭოს წარმომადგენლების აზრით დონორი ორგანიზაციების მიერ წახალისებული უნდა იყოს საბჭოს მიერ საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში სოციალური ქსელებისა და მოქალაქეებთან უშუალო შეხვედრების მექანიზმები, რისი გამოცდილებაც საბჭოს გააჩნია. მათ იმედი გამოთქვეს, რომ მოიპოვებენ დონორთა მხარდაჭერას მათ მიერ მომზადებულ საპროექტო განაცხადებზე, რომლებიც შეეხება:

- საბჭოს ცნობადობის გაზრდის მიზნით სოციალური ქსელებისა და მოქალაქეებთან უშუალო შეხვედრების მექანიზმების გაძლიერებას;
- საბჭოს მიერ მუნიციპალური პროგრამების განხორციელების მონიტორინგს.

2.6. მარნეულის მუნიციპალიტეტი

ვინაიდან ინფორმაციის მიღების პროცესში გამოიკვეთა რიგი სირთულეებისა, სასურველია მუნიციპალიტეტთან დაიწყოს მუშაობა საბჭოს არსებული შესაძლებლობების დადგენისა და შესაძლო ერთობლივი საქმიანობის სფეროების იდენტიფიცირებისათვის.

2.7. წალკის მუნიციპალიტეტი

იურიდიული საფუძველი: წალკის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 4 იანვრის ბრძანება #5 "წალკის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ".

<u>შენიშვნები დებულების მუხლებთან დაკავშირებით:</u>

<u>მუხლი 1. ზოგადი დებულებები</u>

- კარგი იქნებოდა, თუ ზოგად დებულებებში მოცემული იქნებოდა საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები;

- სასურველია დებულებით განისაზღვროს არა მხოლოდ საბჭოებს შემადგენლობა და წევრთა ოდენობა, არამედ საბჭოების ფორმირების წესი;
- ასევე განისაზღვროს საბჭოში წევრობის შეწყვეტის საფუძვლები.

მუხლი 2. საბჭოს საქმიანობის პრინციპები, ძირითადი მიმართულებები და ვალდებულებები

- საბჭოს უფლებამოსილებების ჩამონათვალში (მუხლი 2, პუნქტი 6) უნდა გამოიკვეთოს საბჭოს შესაძლებლობა, მოამზადოს და განახორციელოს მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროგრამები - შესაბამისი პროექტების შექმნის, გარე დაფინანსების წყაროების მოძიების და შედეგების მონიტორინგის გზით.

მუხლი 3. საბჭოს საქმიანობის რეგულაცია

დებულების მე-3 მუხლის 1 პუნქტის თანახმად "საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობს მერი", დასადგენია, ეს ხელმძღვანელობა ნიშნავს თუ არა უშუალოდ სხდომების და ყოველდღიური საქმიანობის წარმართვას.

- შესაბამისად დებულებით უნდა განისაზღვროს საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციები, მისი უფლებემოსილებები, არჩევისა და უფლებამოსილების შეწყვეტის წესი.

რეკომენდაციები საბჭოს საქმიანობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით:

1. მრჩეველთა საბჭოს წევრთა შესახებ ინფორმაციას დაემატოს, თუ კანონმდებლობით განსაზღვრულ რომელ სექტორს წარმოადგენს თითოეული წევრი;
2. მომავალში საბჭოს ეგიდით შექმნილი ყველა სახის დოკუმენტაცია (კვლევები, ანგარიშები და ა.შ.) ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

3. რეკომენდაციები გურიის მუნიციპალიტეტების მიხედვით

3.1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

იურიდიული საფუძველი: ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 12 სექტემბრის N489 ბრძანება "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის, შემადგენლობის განსაზღვრისა და დებულების დამტკიცების შესახებ."

შენიშვნები დებულების მუხლებთან დაკავშირებით:

მუხლი 4.

- პუნქტი 4-ის შესაბამისად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე საბჭოს წევრთა მიერ კი არ აირჩევა, არამედ ინიშნება მერის მიერ. საბჭო ირჩევს საბჭოს მდივანს. ეს არ არის კანონდარღვევა, მაგრამ საბჭოს საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით სასურველია თავმჯდომარეც არჩეული იყოს;
- თუ ეს ცვლილება განხორციელდა, მაშინ დებულების მე-6 ან მე-7 მუხლში უნდა გაიწეროს არჩევის პროცედურები, ხოლო მე-8 მუხლში, თავმჯდომარის უფლებამოსილებების ჩამონათვალში, დაემატოს ქვეპუნქტი საბჭოს უფლებაზე, გადააყენოს თავმჯდომარე.

მუხლი 5.

- საბჭოს უფლებამოსილებების ჩამონათვალში (პუნქტი 1, ქვეპუნქტ "ლ"-ს წინ) სასურველია დაკონკრეტდეს საბჭოს შესაძლებლობა, მოამზადოს და განახორციელოს მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროგრამები - შესაბამისი პროექტების შექმნის, გარე დაფინანსების წყაროების მოძიების და შედეგების მონიტორინგის გზით.

<u>რეკომენდაციები საბჭოს საქმიანობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით:</u>

1. საბჭოს ახალი შემადგენლობის დამტკიცებისას უნდა განისაზღვროს კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები, მათი გამოცდილების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის გზით;
2. სასურველია მრჩეველთა საბჭოს წევრთა შესახებ ინფორმაციას (რაც გამოქვეყნებულია) დაემატოს, თუ კანონმდებლობით განსაზღვრულ რომელ სექტორს წარმოადგენს თითოეული წევრი, ასევე წევრების საკონტაქტო ინფორმაციაც;
3. წახალისდეს საბჭოს საქმიანობა, მერისათვის რეკომენდაციების წარდგენამდე, მუნიციპალურ სამსახურებთან ერთად, დამუშავდეს საბჭოს წინადადებები და მერს წარედგინოს არა მარტო წინადადება, არამედ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის გზაც;
4. ასევე წასახალისებელია საბჭოს წევრთა მიერ გამოთქმული მოსაზრება საბჭოსათვის კონკრეტული დისკრეცის მინიჭების შესახებ (მაგალითად მცირე მუნიციპალური საგრანტო პროგრამის კონკურსის ჩატარებისა და გაცემული გრანტების მონიტორინგის ფუნქცია), თუმცა ამისათვის ჯერ საბჭოს წევრების გადამზადება / უნარების ზრდა იქნება საჭირო.

3.2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

იურიდიული საფუძველი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 5 ივლისის N3648 ბრძანება "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ."

<u>შენიშვნები დებულების მუხლებთან დაკავშირებით:</u>

<u>მუხლი 5. ზოგადი დებულებები</u>

- საბჭოს უფლებამოსილებების ჩამონათვალში (პუნქტი 1, ქვეპუნქტ "ლ"-ს წინ) სასურველია დაკონკრეტდეს საბჭოს შესაძლებლობა, მოამზადოს და განახორციელოს მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროგრამები - შესაბამისი პროექტების შექმნის, გარე დაფინანსების წყაროების მოძიების და შედეგების მონიტორინგის მეშვეობით.

<u>რეკომენდაციები საბჭოს საქმიანობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით:</u>

1. საბჭოს ახალი შემადგენლობის დამტკიცებისას განისაზღვროს კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები, მათი გამოცდილების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის გზით;
2. წახალისდეს საბჭოს წევრების ინიციატივა, ჩაერთონ არა მარტო მცირე, ლოკალური მნიშვნელობის, არამედ ცენტრალური ხელისუფლებისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი მსხვილი მუნიციპალური პროექტების მომზადების პროცესში.

3.3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

იურიდიული საფუძველი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 6 დეკემბრის N1938 ბრძანება "ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - "სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ".

<u>დებულების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან:</u>

<u>მუხლი 4.</u>

პუნქტი 2-ის თანახმად, საბჭოს შეუძლია მუნიციპალიტეტიდან გამოითხოვოს საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაცია. დებულებაში ასახული უნდა იყოს იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლის

წარდგენაც კანონმდებლობის შესაბამისად (ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", მუხლი 86[1], პუნქტი 3) მერს პროაქტიურად ევალება (ბიუჯეტის პროექტი, სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, წინადადებები გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ, მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტების, აგრეთვე ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები).

<u>შენიშვნები დებულების მუხლებთან დაკავშირებით:</u>

<u>მუხლი 1.</u>

- კარგი იქნებოდა, თუ ზოგად დებულებებში მოცემული იქნებოდა საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები.

<u>მუხლი 3. პუნქტი 2.</u>

- მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე არის მერი. ეს დებულება არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, თუმცა ლოგიკურად, საბჭოს ეფექტური მუშაობისათვის სასურველია, მერი აირჩეოდეს საბჭოს მიერ;
- თუ საბჭოს თავმჯდომარის არჩევა მოხდება საბჭოს მიერ, არჩევის პროცედურა შესაბამისად უნდა გაიწეროს მე-5 მუხლში (დაემატოს მუხლი 5, პუნქტი 2).

<u>მუხლი 3. პუნქტები 6 და 7.</u>

- მე-6 პუნქტის თანახმად, საბჭოს მდივანს ნიშნავს მერი. მე-7 მუხლის თანახმად, მრჩეველთა საბჭოს მდივანი არის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელე. ეს დებულება არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ვინაიდან მდივანი არ არის საბჭოს წევრი, თუმცა სასურველია მდივანი იყოს არა მუნიციპალური სტრუქტურის, არამედ საზოგადოების წარმომადგენელი, რომელიც ამავდროულად იქნება საბჭოს წევრიც;
- თუ აღნიშნული ცვლილება განხორციელდა, მდივნის არჩევის პროცედურა შესაბამისად უნდა გაიწეროს მე-7 მუხლში (დაემატოს მუხლი 7, პუნქტი 2).

<u>მუხლი 3. პუნქტი 9.</u>

- სასურველია განისაზღვროს (გაფართოვდეს) საბჭოს წევრობის საფუძვლები (დებულებაში მითითებულია მხოლოდ წევრის განცხადება).

<u>მუხლი 6. პუნქტი 1.</u>

- სასურველია გაფართოვდეს საბჭოს წევრის უფლებების ჩამონათვალი. უფლებამოსილებების აღწერისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იყოს შემდეგი დეფინიცია:
  - "შევიდეს და გადაადგილდეს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მუნიციპალიტეტის მოსამსახურეთათვის დაწესებული რეჟიმის (სპეციალურის გარდა) შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში)";
  - "დაესწროს და წინასწარი წერილობითი მიმართვის გარეშე მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის ან მის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების გამართულ საჯარო სხდომებში, დებატებში, დასვას შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან, გააკეთოს განმარტება, განცხადება ან/და მიმართვა";
  - "შეხვდეს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებსა და საჯარო მოხელეებს, გამოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია საბჭოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე".

<u>მუხლები 5, 6, 7.</u>

- საბჭოს თავმჯდომარის (მუხლი 5), საბჭოს წევრისა (მუხლი 6) და საბჭოს მდივნის (მუხლი 7) პოზიციის აღწერისას არ არის მითითებული, რომ მათი საქმიანობა ხორციელდება საზოგადოებრივ საწყისებზე. სასურველია საბჭოს წევრის მოვალეობის განსაზღვრისას

(ხოლო თავმჯდომარისა და მდივის არჩევის შემთხვევაში - შესაბამის მუხლებშიც) დემატოს პუნქტი, რომ აღნიშნული თანამდებობა არ არაზღაურდება (შესაბამისად დაემატოს: 5.2, 6,3 და 7.2 ქვეპუნქტები).

მუხლი 8, პუნქტი 1.

- დებულებაში მითითებულია, რომ "საბჭოს სხდომები იმართება სამ თვეში ერთხელ, ან საჭიროებისამებრ". კანონმდებლობის მიხედვით საბჭოს სხდომები უნდა ჩატარდეს 3 თვეში ერთხელ მაინც. გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად სასურველია ან სიტყვები "ან საჭიროებისამებრ" ამოღებულ იქნეს, ან დაემატოს "ან უფრო ხშირად, საჭიროების შემთხვევაში".

მუხლი 8.

- სასურველია დებულებაში მოცემული იყოს სხდომის მომწვევი სუბიექტების ჩამონათვალი (სავარაუდოდ 8.1 პუნქტის შემდეგ).

მუხლი 8, პუნქტი 4.

- დებულებაში აღნიშნულია, რომ "გარდა საორგანიზაციო და საპროცედურო საკითხებისა, საბჭოს სხდომაზე არ შეიძლება განხილული იქნეს საკითხი, თუ ის არ არის წინასწარ შეტანილი დღის წესრიგში". სასურველია ეს პუნქტი ან ამოღებული იქნეს, ან დაერთოს განმარტება, თუ რა შემთხვევაში შეიძლება დამატებითი საკითხის შეტანა დღის წესრიში (მაგალითად მიმდინარე საკითხის განხილვისას წარმოშობილი ახალი გარემოებების შედეგად წარმოშობილი საკითხები).

რეკომენდაციები საბჭოს საქმიანობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით:

სასურველია მრჩეველთა საბჭოს წევრთა შესახებ ინფორმაცია საჯაროდ გამოქვეყნდეს და დაემატოს, თუ კანონმდებლობით განსაზღვრულ რომელ სექტორს წარმოადგენს თითოეული წევრი, ასევე წევრთა საკონტაქტო ინფორმაციაც;

4. რეკომენდაციები სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტების მიხედვით

4.1. აბაშის მუნიციპალიტეტი

იურიდიული საფუძველი: აბაშის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 21 ნოემბრის ბრძანება N91 - "აბაშის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 19 ნოემბრის N1065 ბრძანებაში" ცვლილების შეტანის თაობაზე.

შენიშვნები დებულების მუხლებთან დაკავშირებით:

მუხლი 5.

- საბჭოს უფლებამოსილებების ჩამონათვალში (პუნქტი 1, ქვეპუნქტი "კ") სასურველია დაკონკრეტდეს საბჭოს შესაძლებლობა, მოამზადოს და განახორციელოს მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროგრამები - შესაბამისი პროექტების შექმნის, გარე დაფინანსების წყაროების მოძიების და შედეგების მონიტორინგის გზით.

მუხლი 15.

- სასურველია დაკონკრეტდეს, რომ საბჭოს სხდომას იწვევს მერი, ამ დებულების 16.3 პუნქტში მითითებული სუბიექტების ინიცირების საფუძველზე.

<u>რეკომენდაციები საბჭოს საქმიანობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით:</u>

სასურველია მრჩეველთა საბჭოს წევრთა შესახებ ინფორმაციას (რაც გამოქვეყნებულია) დაემატოს, თუ კანონმდებლობით განსაზღვრულ რომელ სექტორს წარმოადგენს თითოეული წევრი, ასევე წევრთა საკონტაქტო ინფორმაციაც.

4.2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

იურიდიული საფუძველი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 6 თებერვლის ნოემბრის N206 ბრძანება - "ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 27 ნოემბრის N206 ბრძანებაში" ცვლილების შეტანის შესახებ.

<u>შენიშვნები დებულების მუხლებთან დაკავშირებით:</u>

<u>მუხლი 5.</u>

- საბჭოს უფლებამოსილებების ჩამონათვალში (პუნქტი 1, ქვეპუნქტ "კ") სასურველია დაკონკრეტდეს საბჭოს შესაძლებლობა, მოამზადოს და განახორციელოს მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროგრამები - შესაბამისი პროექტების შექმნის, გარე დაფინანსების წყაროების მოძიების და შედეგების მონიტორინგის გზით.

<u>მუხლი 6. პუნქტი 2.</u>

- დებულების თანახმად საბჭოს დაკომპლექტება ხდება უშუალოდ მერის მიერ - არ არის მოხსენიებული მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფების მიერ კანდიდატურების წამოყენების შესაძლებლობა. კარგი იქნებოდა არსებობდეს კანდიდატურების განაცხადების/კონკურსის საფუძველზე შერჩევის შესაძლებლობაც. ასეთ შემთხვევაში გასაწერი იქნება (სავარაუდოდ იმავე მუხლში) შესაბამისი პროცედურაც.

<u>რეკომენდაციები საბჭოს საქმიანობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით:</u>

1. სასურველია მრჩეველთა საბჭოს წევრთა შესახებ ინფორმაცია საჯაროდ გამოქვეყნდეს და დაემატოს, თუ კანონმდებლობით განსაზღვრულ რომელ სექტორს წარმოადგენს თითოეული წევრი, ასევე წევრთა საკონტაქტო ინფორმაციაც;
2. წახალისდეს / მხარდაჭერილი იქნეს საქმიანობის ზოგიერთი ფორმა, რასაც საბჭო ახორციელებს. კერძოდ:
   1. მოქალაქეთა კოლექტიური განცხადებების განხილვისა და მერისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდების პრაქტიკა;
   2. მერიის სტრუქტურების საქმიანობის მონიტორინგის - მერიის სამსახურების უფროსების ანგარიშების მოსმენის პრაქტიკა;
   3. საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში სოციალური ქსელების გამოყენების პრაქტიკა.

4.3. მარტვილის მუნიციპალიტეტი

იურიდიული საფუძველი: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 დეკემბრის N1012 ბრძანება "მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე".

<u>შენიშვნები დებულების მუხლებთან დაკავშირებით:</u>

<u>მუხლი 5.</u>

- საბჭოს უფლებამოსილებების ჩამონათვალში (პუნქტი 1, ქვეპუნქტ "კ") სასურველია დაკონკრეტდეს საბჭოს შესაძლებლობა, მოამზადოს და განახორციელოს მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროგრამები - შესაბამისი პროექტების შექმნის, გარე დაფინანსების წყაროების მოძიების და შედეგების მონიტორინგის გზით.

<u>რეკომენდაციები საბჭოს საქმიანობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით:</u>

სასურველია მრჩეველთა საბჭოს წევრთა შესახებ ინფორმაცია საჯაროდ გამოქვეყნდეს და დაემატოს თითოეული წევრის საკონტაქტო ინფორმაცია.

4.4. მესტიის მუნიციპალიტეტი

იურიდიული საფუძველი: მესტიის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 ნოემბრის N521 ბრძანება - "მესტიის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ".

<u>შენიშვნები დებულების მუხლებთან დაკავშირებით:</u>

<u>მუხლი 5.</u>

- საბჭოს უფლებამოსილებების ჩამონათვალში (პუნქტი 1, ქვეპუნქტ "კ") სასურველია დაკონკრეტდეს საბჭოს შესაძლებლობა, მოამზადოს და განახორციელოს მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროგრამები - შესაბამისი პროექტების შექმნის, გარე დაფინანსების წყაროების მოძიების და შედეგების მონიტორინგის გზით.

<u>რეკომენდაციები საბჭოს საქმიანობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით:</u>

სასურველია მრჩეველთა საბჭოს წევრთა შესახებ ინფორმაცია საჯაროდ გამოქვეყნდეს და დაემატოს, თუ კანონმდებლობით განსაზღვრულ რომელ სექტორს წარმოადგენს თითოეული წევრი, ასევე წევრთა საკონტაქტო ინფორმაციაც.

4.5. სენაკის მუნიციპალიტეტი

იურიდიული საფუძველი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 25 ივლისის ბრძანება N1192 სენაკის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე".

<u>დებულების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან:</u>

2018 წლის 25 ივლისის N1192 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით საბჭო შედგება 10 წევრისაგან. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია სენაკის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 აგვისტოს ბრძანებით N1315

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ".
საბჭოში 10 წევრიდან 3 ქალია, რაც საერთო ოდენობის 30%-ს შეადგენს და ნაკლებია კანონთ განსაზღვრულ 1/3-ზე ("საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. საბჭო უფლებამოსილი არ არის, თუ დარღვეულია ეს მოთხოვნა", ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", მუხლი 86[1], პუნქტი 2).
კანონის მუხლების ზედმიწევნით დაცვის მიზნით საჭირო იქნება დამატებით ერთი ქალი წევრის შეყვანა საბჭოში. შესაბამისად, უნდა შეიცვალოს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი და წევრთა ოდენობა გაიზარდოს 11-მდე.

<u>შენიშვნები დებულების მუხლებთან დაკავშირებით:</u>

<u>მუხლი 5.</u>

- საბჭოს უფლებამოსილებების ჩამონათვალში (პუნქტი 1, ქვეპუნქტ "კ") სასურველია დაკონკრეტდეს საბჭოს შესაძლებლობა, მოამზადოს და განახორციელოს მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროგრამები - შესაბამისი პროექტების შექმნის, გარე დაფინანსების წყაროების მოძიების და შედეგების მონიტორინგის გზით.

<u>რეკომენდაციები საბჭოს საქმიანობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით:</u>

1. სასურველია მრჩეველთა საბჭოს წევრთა შესახებ ინფორმაცია საჯაროდ გამოქვეყნდეს და დაემატოს, თუ კანონმდებლობით განსაზღვრულ რომელ სექტორს წარმოადგენს თითოეული წევრი, ასევე წევრთა საკონტაქტო ინფორმაციაც;
2. საბჭოს ეგიდით შექმნილი ყველა სახის დოკუმენტაცია (კვლევები, ანგარიშები და ა.შ.) ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული მხარისათვის;
3. წახალისდეს და მხარდაჭერილი იქნეს საქმიანობის ზოგიერთი ფორმა, რასაც საბჭო ახორციელებს. კერძოდ:
   1. მუნიციპალური სამსახურების საქმიანობის მონიტორინგის გეგმის შემუშავება და განხორციელება;
   2. მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ მერისა და მუნიციპალური სამსახურების უფროსების ანგარიშების მოსმენა;
   3. დონორთა მიერ მუნიციპალიტეტებისათვის შეთავაზებული პროგრამების (მაგ. UNDP-ის FRLD) განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება მერისათვის.

4.6. ფოთის მუნიციპალიტეტი

იურიდიული საფუძველი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 13 ნოემბრის ბრძანება N847 "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე".

<u>დებულების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან:</u>

2017 წლის 13 ნოემბრის ბრძანება N847 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით საბჭო შედგება 10 წევრისაგან. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 13 ნოემბრის ბრძანებით N848 "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის დამტკიცებისა და საბჭოს პირველი სხდომის მოწვევის შესახებ".
საბჭოში 10 წევრიდან 3 ქალია, რაც საერთო ოდენობის 30%-ს შეადგენს და ნაკლებია კანონთ განსაზღვრულ 1/3-ზე ("საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ

უნდა იყოს. საბჭო უფლებამოსილი არ არის, თუ დარღვეულია ეს მოთხოვნა", ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", მუხლი 86[1], პუნქტი 2).
კანონის მუხლების ზედმიწევნით დაცვის მიზნით საჭირო იქნება დამატებით ერთი ქალი წევრის შეყვანა საბჭოში. შესაბამისად, უნდა შეიცვალოს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი და წევრთა ოდენობა გაიზარდოს 11-მდე.

<u>შენიშვნები დებულების მუხლებთან დაკავშირებით:</u>

<u>მუხლი 5.</u>

- საბჭოს უფლებამოსილებების ჩამონათვალში (პუნქტი 1, ქვეპუნქტ "კ") სასურველია დაკონკრეტდეს საბჭოს შესაძლებლობა, მოამზადოს და განახორციელოს მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროგრამები - შესაბამისი პროექტების შექმნის, გარე დაფინანსების წყაროების მოძიების და შედეგების მონიტორინგის გზით.

<u>რეკომენდაციები საბჭოს საქმიანობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით:</u>

სასურველია მრჩეველთა საბჭოს წევრთა შესახებ ინფორმაცია საჯაროდ გამოქვეყნდეს და დაემატოს, თუ კანონმდებლობით განსაზღვრულ რომელ სექტორს წარმოადგენს თითოეული წევრი, ასევე წევრთა საკონტაქტო ინფორმაციაც.

4.7. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი

იურიდიული საფუძველი: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 13 ნოემბრის ბრძანება N1321-ს - "ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე".

<u>შენიშვნები დებულების მუხლებთან დაკავშირებით:</u>

<u>მუხლი 5.</u>

- საბჭოს უფლებამოსილებების ჩამონათვალში (პუნქტი 1, ქვეპუნქტ "კ") სასურველია დაკონკრეტდეს საბჭოს შესაძლებლობა, მოამზადოს და განახორციელოს მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროგრამები - შესაბამისი პროექტების შექმნის, გარე დაფინანსების წყაროების მოძიების და შედეგების მონიტორინგის გზით.

<u>რეკომენდაციები საბჭოს საქმიანობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით:</u>

1. სასურველია მუნიციპალიტეტისა და დონორი ორგანიზაციების მხრიდან წახალისებულ იქნეს საბჭოს მიერ განხორციელებული, მუნიციპალიტეტის დოკუმენტების, პროგრამების, გენგეგმების განხილვისა და რეკომენდაციების შემუშავების პრაქტიკა;
2. საბჭოს ეგიდით შექმნილი ყველა სახის დოკუმენტაცია (კვლევები, ანგარიშები და ა.შ.) ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული მხარისათვის;
3. ასევე სასურველია დონორი ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი იყოს ის გამოცდილება, რომელიც მინიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭოს გააჩნია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მოსახლეობაში საბჭოს საქმიანობის ცნობადობის გაზრდის მიმართულებით.

4.8. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

იურიდიული საფუძველი: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 9 დეკემბრის N2-1/525 ბრძანება "წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ".

<u>დებულების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან:</u>

2015 წლის 9 დეკემბრის N2-1/525 ბრძანებით დებულების დამტკიცების შემდეგ საქართველოს კანონმდებლობაში (ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი") რიგი ცვლილებები განხორციელდა. ვინაიდან მუნიციპალიტეტიდან ვერ იქნა მოძიებული განახლებული დებულება. უნდა ვივარაუდოთ, რომ დებულება წარმოდგენილი რედაქციით მოქმედებს.
შესაბამისად დებულება იურიდიულად უნდა გაიმართოს დღეისათვის მოქმედი საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად (მაგ. ტერმინ "გამგებლის" ჩანაცვლება ტერმინ "მერით" და ა.შ.).

<u>შენიშვნები დებულების მუხლებთან დაკავშირებით:</u>

<u>მუხლი 5.</u>

- საბჭოს უფლებამოსილებების ჩამონათვალში (პუნქტი 1, ქვეპუნქტ "კ") სასურველია დაკონკრეტდეს საბჭოს შესაძლებლობა, მოამზადოს და განახორციელოს მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროგრამები - შესაბამისი პროექტების შექმნის, გარე დაფინანსების წყაროების მოძიების და შედეგების მონიტორინგის გზით.

<u>რეკომენდაციები საბჭოს საქმიანობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით:</u>

სასურველია მრჩეველთა საბჭოს წევრთა საკონტაქტო ინფორმაცია საჯაროდ გამოქვეყნდეს.

4.9. ხობის მუნიციპალიტეტი

იურიდიული საფუძველი: ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 9 დეკემბრის №01-962-07 ბრძანება "ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ".

<u>დებულების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან:</u>

2015 წლის 9 დეკემბრის №01-962-07 ბრძანებით დებულების დამტკიცების შემდეგ საქართველოს კანონმდებლობაში (ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმაფრთველობის კოდექსი") რიგი ცვლილებები განხორციელდა. ვინაიდან მუნიციპალიტეტიდან ვერ იქნა მოძიებული განახლებული დებულება. უნდა ვივარაუდოთ, რომ დებულება წარმოდგენილი რედაქციით მოქმედებს.
შესაბამისად დებულება იურიდიულად უნდა გაიმართოს დღეისათვის მოქმედი საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად (მაგ. ტერმინ "გამგებლის" ჩანაცვლება ტერმინ "მერით" და ა.შ.).

<u>შენიშვნები დებულების მუხლებთან დაკავშირებით:</u>

<u>მუხლი 5.</u>

- საბჭოს უფლებამოსილებების ჩამონათვალში (პუნქტი 1, ქვეპუნქტ "კ") სასურველია დაკონკრეტდეს საბჭოს შესაძლებლობა, მოამზადოს და განახორციელოს მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროგრამები - შესაბამისი პროექტების შექმნის, გარე დაფინანსების წყაროების მოძიების და შედეგების მონიტორინგის გზით.

<u>რეკომენდაციები საბჭოს საქმიანობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით:</u>

1. სასურველია მრჩეველთა საბჭოს წევრთა შესახებ ინფორმაციას (რაც მუნიციპალურ ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული) დაემატოს, თუ კანონმდებლობით განსაზღვრულ რომელ სექტორს წარმოადგენს თითოეული წევრი, ასევე წევრთა საკონტაქტო ინფორმაციაც;
2. საბჭოს ეგიდით შექმნილი ყველა სახის დოკუმენტაცია (ოქმები, კვლევები, ანგარიშები და ა.შ.) ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული მხარისათვის;
3. წახალისებული იქნეს საბჭოს საზოგადოების ჩართულობის სხვა ფორმებთან (დასახლების საერთო კრებებთან), ასევე მუნიციპალიტეტში სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების განმახორციელებელ გუნდებთან თანამშრომლობის (ერთობლივი სამუშაო შეხვედრები) პრეცენდენტები.